

მიწოდების ვადები და პირობები

პროექტის დასახელება: რეგიონული განვითარების პროექტი (RDP)
 შემსყიდველი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
 მიმღები: თელავის ისტორიული მუზეუმი.
 მიმღების მისამართი: ერეკლე II მოედანი, ქ. თელავი, საქართველო
 მოწვევის # IBRD/RDP/G/SH/06-2017

1. საქონლის ღირებულება და მიწოდების გრაფიკი:

საოფისე ავეჯის (სკამების) მიწოდება :

N	საქონლის დასახელება და ტექნიკური პირობა	რაოდენობა /განზომილება	ერთეულის ფასი (ლარი) (მოიცავს ყველა ხარჯს რაც დაკავშირებული იქნება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე საქონლის მიწოდებასთან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს)	სულ ფასი (ლარი) (მოიცავს ყველა ხარჯს რაც დაკავშირებული იქნება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე საქონლის მიწოდებასთან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს)	მოწოდების ვადა
1	სალაროს სამუშაო სკამი შავი ნაჭერი, შავი სტრუქტურა, გორგოლაჭები (რბილი იატაკისთვის) სიმაღლე=460მმ. F-04	34 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
2	სკამი შემოსასვლელ ჰოლში გაშავებული ხე, სიმაღლე=460მმ F-05	3 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
3	სკამი შემოსასვლელ ჰოლში გაშავებული ხე, სიმაღლე=460მმ. F-06	2 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
4	სკამი შემოსასვლელ ჰოლში შავი ნაჭერი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ. F-07	2 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში

5	სკამი კაფეს მაგიდასთან გაშავებული დიქტი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ. F-08	1 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
6	სკამი კაფეს მაგიდასთან გაშავებული დიქტი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ. F-09	3 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
7	სკამი კაფეს მაგიდასთან ალუმინის ნატურალური, სიმაღლე=460მმ. F-10	2 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
8	სკამი კაფეს მაგიდასთან შავი დიქტი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ. F-11	4 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
9	სკამი კაფეს მაგიდასთან შავი პლასტიკი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ. F-12	8 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
10	სკამი კაფეს ბარის დახლთან შავი პლასტიკატი, სიმაღლე=670მმ. F-13	6 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
11	სკამი კაფეს ბარის დახლთან შავი პლასტიკატი, სიმაღლე=670მმ. F-14	6 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
12	სკამი დიდ საგამოყენო დარბაზში შავი დიქტი, სიმაღლე=400მმ F-15	12 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
13	სკამი დროებითი ექსპოზიციების დარბაზში შავი ტყავი, სიმაღლე=400მმ. F-16	4 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში

14	სავარძელი მცირე ფოიეში ტყავი, სიმაღლე=400მმ. F-17	6 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
15	სკამი იაშვილის დარბაზში შავი ტყავი, შავი სტრუქტურა Hსიმაღლე=400მმ. F-18	4 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
16	სკამი საკონფერენციო დარბაზში შავი პლასტიკი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ. F-19	74 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
17	სამზარეულო სკამი შავი მეტალის, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ. F-20	2 ცალი			კონტრაქტის ხელმოწერიდან 75 კალენდარული დღის განმავლობაში
სულ ფასი:					

შენიშვნა: ერთეულის ფასსა და პუნქტების ქვეჯამებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში რაც მიღებულია ერთეულის ფასის რაოდენობაზე გამრავლებით, უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს

2. ფიქსირებული ფასი: ფასები ფიქსირებულია და კონტრაქტის განხორციელების პროცესში არ ექვემდებარება ცვლილებას.
3. შემსყიდველი იტოვებს უფლებას კონტრაქტის საბოლოო გაფორმებისას, 15%-მდე გაზარდოს ან შეამციროს თავდაპირველად მითითებული საქონლის მოცულობა ერთეულის ფასის, ვადებისა და სხვა საკონტრაქტო პირობების ცვლილების გარეშე.

მოწოდების გრაფიკი და ადგილი: საქონლის მოწოდება განხორციელდება ზემოთ აღნიშნული გრაფიკით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 75 კალენდარული დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: **ერეკლე II მოედანი, ქ. თელავი, საქართველო.**

4. მარეგულირებელი კანონი: კონტრაქტი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
5. დავების გადაჭრა: შემსყიდველი და მომწოდებელი ყველა ძალისხმევას მიმართავენ რათა პირდაპირი, არაფორმალური მოლაპარაკებების გზით გადაჭრან კონტრაქტთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება და დავა. აღნიშნული გზით დავის გადაუჭრელობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. მომწოდებელი წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტაციას:
 - (i) ინვოისი, სადაც მითითებულია საქონლის აღწერა, მოცულობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა;
 - (ii) სასაქონლო ზედნადები (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად);

(iii) დღგ-ანგარიშფაქტურა, საჭიროებისამებრ;

(iv) მიწარმოებლის ან მომწოდებლის საგარანტიო სერტიფიკატი;

7. გადახდა: საავანსო გადახდა, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტის ღირებულების მაქსიმუმ 20%-ს განხორციელება უნადდო ანგარიშსწორებით, ეკვივალენტურ თანხაზე დამკვეთისთვის მისაღები უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, ამგვარი გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 14 კალენდარულ დღეში. კონტრაქტის ღირებულების დარჩენილი ნაწილი გადახდილი იქნება შემსყიდველის და მომწოდებლის მიერ შესაბამისი საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ოცდარვა (28) დღის განმავლობაში.
8. გარანტია: მიმწოდებელი საქონლის მიმღების წინაშე პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის გარანტიაზე, საქონლის მიწოდების თარიღიდან სულ მცირე 1 წლის განმავლობაში;
9. შეფუთვისა და მარკირების ინსტრუქციები: მომწოდებელი უზრუნველყოფს საქონლის სტანდარტულ შეფუთვისას, რაც საჭიროა მისი დაზიანებისა ან ცვეთის თავიდან ასაცილებლად საბოლოო დანიშნულების ადგილას მიწოდებამდე, როგორც ეს მითითებულია კონტრაქტში.
10. დეფექტები: ყველა დეფექტი უნდა გაასწოროს მომწოდებელმა, შემსყიდველის მიერ ხარჯის გაღების გარეშე, შემსყიდველის შეტყობინებიდან 28 კალენდარული დღის განმავლობაში.

საგარანტიო პერიოდში მომსახურე სერვისის ცენტრის დასახელება და მისამართი, სადაც მომწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს დეფექტების აღმოფხვრა საგარანტიო პერიოდში.

დასახელება: _____








მისამართი : _____

11. ფორს-მაჟორი: მომწოდებელს არ დაეკისრება ჯარიმა და არ შეუწყდება კონტრაქტი, თუკი მის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომით.
ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მომწოდებელმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ მომწოდებელი არ მიიღებს შემსყიდველის წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულების, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ტექნიკური სპეციფიკაციები

საოფისე ავეჯი (სკამები)

#	დასახელება	მინიმალური ტექნიკური სპეციფიკაციები	
1	სალაროს სამუშაო სკამი F-04	შავი ნაჭერი, შავი სტრუქტურა, გორგოლაჭები (რბილი იატაკისთვის) სიმაღლე=460მმ.	
2	სკამი შემოსასვლელ ჰოლში F-05	გაშავებული ხე, სიმაღლე=460მმ	
3	სკამი შემოსასვლელ ჰოლში F-06	გაშავებული ხე, სიმაღლე=460მმ.	
4	სკამი შემოსასვლელ ჰოლში F-07	შავი ნაჭერი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ.	
5	სკამი კაფეს მაგიდასთან F-08	გაშავებული დიქტი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ.	
6	სკამი კაფეს მაგიდასთან F-09	გაშავებული დიქტი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ.	

7	სკამი კაფეს მაგიდასთან F-10	ალუმინის ნატურალური, სიმაღლე=460მმ.	
8	სკამი კაფეს მაგიდასთან F-11	შავი დიქტი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ.	
9	სკამი კაფეს მაგიდასთან F-12	შავი პლასტიკი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ.	
10	სკამი კაფეს ბარის დახლთან F-13	შავი პლასტიკატი, სიმაღლე=670მმ.	
11	სკამი კაფეს ბარის დახლთან F-14	შავი პლასტიკატი, სიმაღლე=670მმ.	
12	სკამი დიდ საგამოფენო დარბაზში F-15	შავი დიქტი, სიმაღლე=400მმ	
13	სკამი დროებითი ექსპოზიციების დარბაზში F-16	შავი ტყავი, სიმაღლე=400მმ.	

14	სავარძელი მცირე ფოიეშიშავი F-17	ტყავი, სიმაღლე=400მმ.	
15	სკამი იაშვილის დარბაზში F-18	შავი ტყავი, შავი სტრუქტურა სიმაღლე=400მმ.	
16	სკამი საკონფერენციო დარბაზში F-19	შავი პლასტიკი, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ.	
17	სამზარეულოს სკამი F-20	შავი მეტალის, შავი სტრუქტურა, სიმაღლე=460მმ.	

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართები:

- დანართი ნახაზი - სალაროს სამუშაო სკამი F-04
- დანართი ნახაზი - სკამი შემოსასვლელ ჰოლში F-05
- დანართი ნახაზი - სკამი შემოსასვლელ ჰოლში F-06
- დანართი ნახაზი - სკამი შემოსასვლელ ჰოლში F-07
- დანართი ნახაზი - სკამი კაფეს მაგიდასთან F-08
- დანართი ნახაზი - სკამი კაფეს მაგიდასთან F-09
- დანართი ნახაზი - სკამი კაფეს მაგიდასთან F-10
- დანართი ნახაზი - სკამი კაფეს მაგიდასთან F-11
- დანართი ნახაზი - სკამი კაფეს მაგიდასთან F-12
- დანართი ნახაზი - სკამი კაფეს ბარის დახლთან F-13
- დანართი ნახაზი - სკამი კაფეს ბარის დახლთან F-14
- დანართი ნახაზი - სკამი დიდ საგამოფენო დარბაზში F-15
- დანართი ნახაზი - სკამი დროებითი ექსპოზიციების დარბაზში F-16
- დანართი ნახაზი - სავარძელი მცირე ფოიეშიშავი F-17
- დანართი ნახაზი - სკამი იაშვილის დარბაზში F-18
- დანართი ნახაზი - სკამი საკონფერენციო დარბაზში F-19
- დანართი ნახაზი - სამზარეულოს სკამი F-20

შენიშვნა:

- მე-12 პარაგრაფით განსაზღვრული მახასიათებლები წარმოადგენს **მინიმალურ სპეციფიკაციებს**, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემოთავაზებული საქონელი.
- მე-12 პარაგრაფით განსაზღვრულ საქონელზე მითითებული სიმაღლე სავარაუდოა და მონაწილის მიერ დასაშვებია შემოთავაზებულ იქნას სიმაღლის 10%-იანი სხვაობა.

13. დაკისრებული ვალდებულებების შესრულებლობა:

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ კვირაზე დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ ახერხებს საქონლის დანიშნულების ადგილზე მიწოდების უზრუნველყოფას ზემოთ აღნიშნული პირობების შესაბამისად. აღნიშნული კონტრაქტის შეწყვეტა შესაძლებელია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მიმწოდებელი ადასტურებს საქონლის ზემოთ ჩამოთვლილ სპეციფიკაციებთან შესაბამისობას.

მიმწოდებლის სახელი _____

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა _____

კონტრაქტის ფორმა

წინამდებარე კონტრაქტი #IBRD/RDP/G/SH/06-2017 დაიდო ____ წლის ____ _____, ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“, (შემდგომში „შემსყიდველს“) და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელს“) შორის.

რამდენადაც შემსყიდველმა განახორციელა შერჩევა ფასთა კოტირების მეთოდით „თელავში ბატონის ციხის მუზეუმისთვის საოფისე ავეჯის, (სკამების) შექმნა“ #IBRD/RDP/G/SH/06-2017 (შემდგომში „კონტრაქტი“), და მიიღო მიმწოდებლის შეთავაზება წინამდებარე საქონლის მიწოდებაზე კონტრაქტის ფარგლებში, რომლის ღირებულებაც შეადგენს _____ (_____) ლარს დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში „საკონტრაქტო ფასი“).

წინამდებარე კონტრაქტი ითვალისწინებს შემდეგს:

1. ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტები წარმოადგენენ წინამდებარე კონტრაქტის ნაწილს და მასთან ერთად იქნებიან ინტერპრეტირებული:

ა) „ფასთა კოტირების ფორმა“ (დანართი N1);

ბ) „მიწოდების ვადები და პირობები“ (დანართი N2);

2. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის განსახორციელებელი გადახდების გათვალისწინებით, როგორც ქვემოთ არის მითითებული, მიმწოდებელი აფორმებს წინამდებარე კონტრაქტს შემსყიდველთან რათა განახორციელოს და დაასრულოს საქონლის მიწოდება კონტრაქტის ფარგლებში და აღმოფხვრას მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეფექტი კონტრაქტის დებულებების შესაბამისად.

3. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს საქონლის მიწოდებასთან, მიღებასთან და შესაბამისი დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებული კონტრაქტის თანხა კონტრაქტში გაწერილი გადახდის პირობების შესაბამისად.

4. კონტრაქტის შეწყვეტა

4.1 კონტრაქტის შეწყვეტა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო

(ა) შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვიტოს წინამდებარე კონტრაქტი, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით, ქვემოთმოყვანილ გარემოებათა დადგომის შემთხვევაში:

(i) მომწოდებელი ვერ უზრუნველყოფს საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მოწოდებას კონტრაქტში მითითებული ვადების, ან მის ფარგლებში გაგრძელებული ვადების განმავლობაში;

(ii) მომწოდებელი ვერ ასრულებს კონტრაქტის ფარგლებში ნაკისრ ნებისმიერ სხვა მოვალეობას; ან

(iii) მომწოდებელი, შემსყიდველის აზრით, წინამდებარე კონტრაქტის მოპოვებისათვის კონკურენციისას ან მისი შესრულების პროცესში ჩართულია კორუფციაში ან თაღლითობაში როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთმოყვანილ პარაგრაფში #5.

(ბ) იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტს კონტრაქტს, შემსყიდველს უფლება აქვს თავის შეხედულებისამებრ შეისყიდოს მიუწოდებელი საქონელი ან შესაბამისი შეუსრულებელი მომსახურება იმ პირობებითა და იმგვარად როგორც იგი საჭიროდ ჩათვლის და მომწოდებელი შემსყიდველის წინაშე იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ დამატებით ხარჯებზე, რომელიც გადახდილი იქნა ამგვარი ანალოგიური საქონლის ან შესაბამისი მომსახურებისათვის. ზემოხსენებულის მიუხედავად, მომწოდებელი გააგრძელებს კონტრაქტის შესრულებას იმ ფარგლებში, რაც შეწყვეტას არ დაეკავშირება.

4.2 შეწყვეტა გაკოტრების გამო

(ა) შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კონტრაქტი მომწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით, თუკი მომწოდებელი გაკოტრდება ან გახდება არაგადამხდელუნარიანი. ამ გარემოების დადგომის შემთხვევაში, შეწყვეტა განხორციელდება მომწოდებლისათვის კომპენსაციის გაცემის გარეშე, იმ პირობით რომ ამგვარი შეწყვეტა არ დააზარალებს ან რაიმე ზეგავლენას არ იქონიებს სხვა უფლებებზე, რაც უკვე მინიჭებული აქვს ან შემდგომ მიენიჭება შემსყიდველს.

4.3. შეწყვეტა საკუთარი შეხედულებისამებრ

(ა) შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვიტოს კონტრაქტი მომწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს, რომ შეწყვეტა განხორციელდა შემსყიდველის შეხედულებისამებრ, თუ რა ფარგლებში განხორციელდა კონტრაქტით გათვალისწინებული მომწოდებლის მომსახურების შეწყვეტა და ამგვარი შეწყვეტის ძალაში შესვლის თარიღი.

5. თაღლითობა და კორუფცია.

თუ შემსყიდველი დაადგენს, რომ მომწოდებელი, და/ან მისი პერსონალის რომელიმე წევრი, აგენტი ან ქვეკონტრაქტორი, კონსულტანტი, მომსახურების უზრუნველმყოფი, მომწოდებელი და/ან მათი თანამშრომლები გარეული არიან კორუფციულ, თაღლითურ, საიდუმლო გარიგების, ზეწოლის ან სხვა მსგავს ქმედებებში (როგორც ეს განსაზღვრულია ბანკის მოქმედი სანქციების პროცედურებით), კონტრაქტის მოსაპოვებლად ან მისი განხორციელების მიზნით, მაშინ შემსყიდველი უფლებამოსილია მომწოდებლისათვის შეტყობინების გაგზავნიდან 14 დღის შემდეგ გაწყვიტოს მომწოდებლის დასაქმება კონტრაქტის ფარგლებში და გააუქმოს კონტრაქტი, გამოყენებულ უნდა იქნას პარაგრაფის 4 დებულებები, იმგვარად როგორც ეს მოხდებოდა ქვე-პარაგრაფის 4.1 პირობებში.

6. ინსპექტირება და აუდიტი

6.1. მომწოდებელი შემსყიდველის ყველა ინსტრუქციას გაითვალისწინებს, რომელიც შესატყვისობაშია დანიშნულების ადგილის მოქმედ კანონმდებლობასთან.

მომწოდებელი ნებას დართავს და თავის ქვე-კონტრაქტორებსა და კონსულტანტებს მიუთითებს ნება დართონ ბანკს და/ან ბანკის მიერ განსაზღვრულ პირებს განახორციელონ მომწოდებლის ოფისებისა და ანგარიშების, კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული აღრიცხვისა და ჩანაწერების, საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ინსპექტირება, ხოლო ბანკის მიერ დაქირავებულმა აუდიტორებმა ჩაატარონ ამგვარი ანგარიშებისა და აღრიცხვის აუდიტი, ბანკის მოთხოვნისამებრ. მომწოდებლის, მისი ქვე-კონტრაქტორებისა და კონსულტანტების ყურადღება უნდა მიექცეოს პარაგრაფს 5 - თაღლითობა და კორუფცია, რაც ასევე ითვალისწინებს, რომ ის ქმედებები, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება ბანკის მიერ აუდიტისა და ინსპექტირების უფლების გამოყენებას აკრძალულ პრაქტიკას წარმოადგენს და ექვემდებარება კონტრაქტის შეწყვეტას (და ასევე უფლებამოსილების შეწყვეტას ბანკის სანქციების პროცედურების თანახმად.)

წინამდებარე კონტრაქტს ხელს აწერენ და ამოწმებენ:

შემსყიდველის სახელით და უფლებამოსილებით:

გალაქტიონ ბუაძე

აღმასრულებელი დირექტორი

მომწოდებლის სახელით და უფლებამოსილებით
